

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №1-2(33-34/7), 22 იანვარი, 1997, გვ. 24) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, ქვეყნის მდგრადი განვითარება საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად;”.

2. მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგრმარეობის შესახებ;”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი

“გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ” მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 37-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებთან საქართველოს კანონის “გარემოს დაცვის შესახებ” შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციასთან “გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ” ქვეპუნქტში და მე-6 მუხლის „გ” ქვეპუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა 37-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. 5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.“.

ამ დებულების შინაარსს იმეორებს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებიც. შესაბამისად, კანონპროექტის არსია კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილების ასახვა კანონის შესაბამის ნორმებში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი სარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯებით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.გ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია პირველები“ - კონსტანტინე ჩოკორაია, კახაბერ ურიადმყოფელი, სალომე ურუშაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი.

